

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ვ ა მ ტ კ ი ც ე ზ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ჭ. ჭაჩიშვილი ზურაბ ბუცხრიკიძე

„16“ „01“ 2015 წელი

ეგზ. № 1

ხონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური აუდიტის ანგარიში *აშ 11/00*

2015 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
აუდიტის მიდგომა	5
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	5
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	6
დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები	7
ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა	7
პირველადი დოკუმენტების წარმოუდგენლობა	8
ინვენტარიზაცია	9
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	10
უარი დასკვნის გაცემაზე	11
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	12
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	12

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა. აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;

- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;

- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, ხონის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა, როგორც - სუსტი.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ხონის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებას.

ხონის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, შემოსულობებმა შეადგინა 6695.9 ათასი ლარი, რომლის 99,7%-ს შეადგენს შემოსავლები, ხოლო 0,3%-ს არაფინანსური აქტივების კლება. შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- გადასახადები - 110.0 ათასი ლარი;
- გრანტები - 6440.4 ათასი ლარი;
- სხვა შემოსავლები - 128.5 ათასი ლარი.

2012 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად: გათანაბრებითი ტრანსფერი - 4529.6 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 1762.8 ათასი ლარი, ხოლო მიზნობრივი ტრანსფერის სახით მიღებულია 148.0 ათასი ლარი.

2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, გადასახდელებმა შეადგინა 7061.0 ათასი ლარი. გადასახდელების 66%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 34%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

2013 წელს ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 7588.7 ათასი ლარი, რომლის 99,8%-ს შეადგენს შემოსავლები, ხოლო 0,2%-ს არაფინანსური აქტივების კლება. შემოსავლები მიღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- გადასახადები - 107.1 ათასი ლარი;
- გრანტები - 7255.6 ათასი ლარი;
- სხვა შემოსავლები - 210.1 ათასი ლარი.

2013 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გრანტები ნაწილდება შემდეგნაირად, გათანაბრებითი ტრანსფერი - 4651.4 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 2454.2 ათასი ლარი, ხოლო მიზნობრივი ტრანსფერის სახით მიღებულია 150.0 ათასი ლარი.

2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 7235.1 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით გადასახდელების 61%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 39%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

2012-2013 წლებში ხონის მუნიციპალიტეტის მიერ ძირითადად განხორციელდა შემდეგი პროექტები: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები; წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები; გარე-განათების სისტემის მომსახურება და ექსპლოატაცია.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

ხონის მუნიციპალიტეტში ბუღალტრული აღრიცხვას აწარმოებენ ელექტრონული პროგრამის გამოყენებით, რომელსაც პერსონალურად ემსახურება

საფინანსო სამსახურის სპეციალისტი (ასრულებდა ბუღალტრის მოვალეობებს)¹. აღსანიშნავია, რომ ბუღალტრის მიერ შესრულებულ სამუშაოსა და საბუღალტრო პროგრამის მონაცემების სისწორეზე მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები. შედეგად, მაღალია შეცდომებით გამოწვეული უზუსტობების რისკი. აგრეთვე, პროგრამა არ არის დაცული უნებართვო შეღწევის, მონაცემების მოპარვის ან დაზიანებისაგან.

მუნიციპალიტეტის ბუღალტრულ აღრიცხვას ემსახურება 3 სპეციალისტი, რომელთაც უფლება-მოვალეობები გადანაწილებული აქვთ პირადი შეთანხმების საფუძველზე. შედეგად, დოკუმენტურად არ არის განსაზღვრული თანამშრომლებს შორის იერარქიული დონეები, შესასრულებელი სამუშაოების სფეროები და პასუხისმგებლობები.

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების² შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, ვალდებულია დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

არსებული მდგომარეობა: საანგარიშო პერიოდში ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობას ფინანსური ანგარიშგებები არ შეუდგენია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტში ფინანსურ ანგარიშგებას არ ადგენდნენ, ვინაიდან მისი წარდგენა შესაბამის ორგანოებს არ მოუთხოვია. თუმცა მუნიციპალიტეტის არგუმენტი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ორგანიზაციული ბალანსი არ ყოფილიყო შედგენილი.

¹ 2014 წლის ოქტომბრიდან პროგრამას ემსახურება საბუღალტრო განყოფილების უფროსი.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

გავლენა:

ფინანსური ანგარიშგების შიდა და გარე მომხმარებლებს არ წარედგინება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, მატერიალური მარაგების მდგომარეობის, ფულადი სახსრების მოძრაობის, მოთხოვნების, სხვა ეკონომიკური ნაკადების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ. აღნიშნულის შედეგად, დაინტერესებულ მხარეებს არ ეძლევათ საშუალება, გაეცნონ მუნიციპალიტეტის მიერ მიღწეულ ფინანსურ შედეგებს.

პირველადი დოკუმენტების წარმოუდგენლობა

კრიტერიუმი: აუდიტორმა მოსაზრება უნდა გამოთქვას და შეაფასოს, იყო თუ არა კანონმდებლობის დარღვევები ან არსებობს თუ არა ასეთი დარღვევის საფუძვლები ფინანსურ ანგარიშგებაში, აუდიტის ობიექტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სრულ და სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებელია აუდიტის ობიექტი. მუნიციპალიტეტმა სრულყოფილად უნდა წარმოადგინოს მის მიერ განხორციელებული ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტები.

არსებული მდგომარეობა: ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა 2012 წელს განხორციელებული ეკონომიკური მოვლენების ამსახველი პირველადი დოკუმენტები. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ხონის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური დოკუმენტაცია ამოღებულია ქუთაისის საოლქო პროკურატურის მიერ.

გავლენა:

იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა 2012 წლის პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, ვერ მოხერხდა ბუღალტრული ჩანაწერების სისწორის შემოწმება. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის თაობაზე, თუ რამდენად სწორად და კანონშესაბამისად ახორციელებს ორგანიზაცია სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვას და შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების³ - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფებისთვის, განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები. კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

არსებული მდგომარეობა: ხონის მუნიციპალიტეტში 2012-2013 წლებში არ ჩატარებულა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. გარდა

³ 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

აღნიშნულისა, 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის აქტივები არ არის მიკუთვნებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

გავლენა:

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, არ არის მიღწეული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით განსაზღვრული მიზნები, კერძოდ:

- ✓ ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმება;
- ✓ ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი;
- ✓ აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა;
- ✓ გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა;
- ✓ არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება;
- ✓ ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება;
- ✓ აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ინვენტარიზაცია, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

ხოლის მუნიციპალიტეტში ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით

დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის“ მიხედვით, ამავე ინსტრუქციით განსაზღვრული ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, ელექტრონული პროგრამის გამოყენებით. პროგრამის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეყვანილი მონაცემები ფინანსური ოპერაციის მიხედვით ავტომატურად ჯამდება შესაბამისი ბუღალტრული გატარებების მიკუთვნებით, ხოლო პერიოდის ბოლოს დგება მემორიალური ორდერები და ბრუნვათა უწყისები.

მემორიალური ორდერები შესაბამისი ეკონომიკური მოვლენების ამსახველ დოკუმენტებთან ერთად დალაგებულია ქრონოლოგიურად და აკინძულია თვეების მიხედვით, ხოლო მემორიალური ორდერის ჩანაწერები ასახულია მაგროვებელ უწყისებში. ბუღალტრული პროგრამის მეშვეობით, მონაცემები მაგროვებელი უწყისებიდან ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, გადატანილია სინთეზური აღრიცხვის ძირითად რეგისტრში - ე.წ. „მთავარ წიგნში“.

აღსანიშნავია, რომ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციის საბოლოო ეტაპია დამტკიცებული ფორმით ფინანსური ანგარიშგების დადგენილ ვადებში შედგენა და მომხმარებლისათვის წარდგენა, რაც ხონის მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ხარვეზი საფინანსო სამსახურის მიერ აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე, აღმოიფხვრება მომავალში და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა განხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

უარი დასკვნის გაცემაზე

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგება, ხოლო 2012 წლის ფინანსური დოკუმენტაცია ამოღებულია ქუთაისის საოლქო პროკურატურის მიერ, რიც გამო მასშტაბის შეზღუდვის გავლენა აუდიტზე არსებითი და ყოვლისმომცველია. აუდიტის ჯგუფმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტის ობიექტზე ვერ მოიპოვა და გამოთქვამს მოსაზრებას - „უარი დასკვნის გაცემაზე“.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

ბადრი ჯანჯღავა



ხელმოწერა 15.01.2015 თარიღი

აუდიტორი:

ლელა მიქაძე



ხელმოწერა 15.01.2015 თარიღი

აუდიტორი:

ლალი ამბროლაძე



ხელმოწერა 15.01.2015 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

შალვა ბუცხრიკიძე



ხელმოწერა 15.01.2015 თარიღი